

საქართველო სამარხი

გამოცემა უცნოეთში მყოფ ხოც.-ფედერ.—ბის გვიმიტარისა.

1930 წ. ოქტომბერი.

№ 6.

რვეული მექანი.

რა არის მთავარი?—ჩვენი საკითხის ავი და პარგი.—

ერთობისა და მთლიანობისათვის.—ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში.—სოც. ინტერნაც. კონგრესი ბრიუსელში.

რა არის მთავარი?

გადის წელიწადები... ჩვენ ისევ ბორკილებში ვართ და კისერზე მძიმე უღელი გვადევს.

გვეგონა თვეები გაგრძელდებოდა ბოლშევკიების ოკუპაცია, ხოლო მალე ათი წელიწადი შესრულდება და საქართველოს დამოუკიდებლობა ისევ წაშლილია; დალაპვრული ერი წელში ვერ გამართულა, მდგომარეობა დღითი დღე ურესდება, გაჭირვება უკიდურესია და სიცოცხლის ალაგას მისი ლანდილაა.

მაგრამ დადალულს გულს თუნდაც უნებლიერ ამოსკდება მწარე კითხვა: «რა ვქნათ, როდის რა გვეღირსება? განწირულნი ხომ არა ვართ და ჩვენი ბედი სამუდამო ხომ არ დაიმარხა?»

ან მუდამ დევნილი და ეული ხალხი, თავმიუსაფარი შედრეკა და ჩუმი უიმედობის ფიქრებს მიეცა?

არა. სახე დაუღლელობას გამოხატავს—ზედ არა სჩანს სასოწარკვეთილება, სულიერი დაცემა, დათმობა, შერიგება. გაბრწყინვებული თვალები წინ იცქირებიან და მომავალის შუქს განსჭვრეტენ...

განა უკეთესი იყო ჩვენი ეროვნული ვითარება ამ ოცდა ათი წლის წინად, როცა ქართველობა ყოველ მხრით შევიწროვებული ძლივს სულს ლაფავდა და მისი ეროვნული შემეცნება მეტად მიჩღუნებული და მოდუნებული იყო, და საქართველოს მეთაურები მაინც თამამად, მტკიცე რწმენით და გა-

ტაცებით ასწევდენ მაღლა და მაღლა სამშობლოს აღდგენის დროშას? განა თვეობით ანგარიშობდენ თავის გამარჯვების მოახლოვებას? განა მტრის სიმძაფრე შეასუსტებდა მათ სიმხნევეს და მტრის მეტს გამშარებას მამულიშვილთა მეტი გააფთრება და ბრძოლის გაძლიერება არ მოხდევდა?

ან ეგებ შესაძლებელია, მტერი მაშინ უფრო სუსტი იყო (იმ დროს ეს სრულებით ასე არ სჩანდა), ვიდრე დღევანდელია და დღეს მეტი დაბრკოლებაა დასაძლევი (ესეც შედარებითი დაფასებაა)?

მაგრამ აწინდელი ქართველობა და მაშინდელი ხომ ერთი არაა.

გუშინ ჩვენ ვიყავით ერი პოტენციალურად, დღეს კი ნამდვილი ერი ვართ—რამდენად ეროვნება გამოიხატება საკუთარი მეობის გარკვეულობაში, საკუთარი პიროვნების შეცნობაში და მისი თავისებურობის დაღინებაში.

გუშინ ჩვენი ქვეყნის საქმე მარტო რჩეულ მამულიშვილთა სატკივარი იყო და თუ დიდი ქართველი ამაოდ ეძებდა, რომ ვისთვისმე გაეზიარებია თავისი წუხილი და მის ირგვლივ მხოლოდ სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული,—დღეს მსგავსის რისიმე თქმა დიდი ტრაბაზი და მედიდურობა იქნებოდა, ვინაიდგან ახლა საქართველოს ბედზე მთელი ქართველი ხალხი ფიქრობს; დღეს არ არის კუთხე, მიყრუებული სოფელიც კი, რომ მამულის სიყვარულის ცეცხლი არ იყოს ანთებული. საქართველოს საკითხი დღეს მთელი ქართველი ხალხის საერთო საქმეა—ყველასი საზრუნავი, ყველასი საწადლი და სატრიქიალო.

პირველ ოცდაექვს მაისს ჩვენ თითქოს დარცხვენით შევხდით, მორიდებულად, გაუბედავად. მეორე და მესამე აღტაცებით ვიდლესასწაულეთ. დღეს კი ოცდაექვსი მაისი ქართველობის გულში ის ლამპარია. რომელიც ყველაფერს ანათებს და ყველაფერს ჰესაწლვრავს.

ასეთია დღევანდელი ქართველი ერი, ასე გაჭირვებული, განაწამები, სულშეხუთული. ამას ლალადებენ უწყალოდ დახოცილები, ჩეკის ჯურლმულებში მომწყდარნი, კატორლასა და სატუსალოებში დაკარგულები, ათიათასთა ჩჩილთა და მოხუცთა, ქალთა და კაცთა წრტიალი და დაღუპულთა უკანასკნელი სულის ამოთქმა სამშობლოსათვის სალაშის მისაძლვნელად და შესავედრებლად ბრძოლის გაგრძელებისა.

ამას ლალადებს დღეს ქართველი თავის ბრძოლით და აქტივობით და ხშირად კიდევ უფრო თავის დუმილით და გუ-

ლში დაფლული შეურიგებლობით და მტრის სიძულვილით.

აი როგორ ხასიათდება ჩვენი აწინდელი ვითარება. აი რაა მთავარი, რაა ჩვენი ეროვნული საკითხის უდიდესი გამარჯვება, რა გვაძლევს უმკვიდრეს საწინდარს ბოლშევიკების დამხობისთვის—ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი რწმენა, ხალისი, გაუტეხელობა, სიმხეევე. ბოლშევიზმი მოკვდება! ხოლო თვით ჩვენ ვიქნებოდით უკვე მკვდარნი, რომ ასეთის ეროვნულის შევნებით არ ვიდგეთ მის წინაშე!

როგორიც დღეს ქართველი ერია, ასეთი რომ ყოფილიყო; რაც დღეს აქვს მოპოვებული, ეს რომ ჰქონოდა წინადაც, თავისუფლებას არ დაკარგავდა, და დღევანდელი ქართველობა შეიარაღებული ლრმა მასსიური ეროვნული გათვითცნობიერებით და თვითარებობის განუხერელი მისწრავებით, აუცილებლად დაიბრუნებს დაკარგულს თავისუფლებას. მას ვერ შეაჩერებს ვერავითარი ბოლშევიკური ტირანია და მოძალადეთა ბატონობის გახანგრძლივება.

საქართველოს განთავისუფლება, ქართველი ერის მიერ თავისთავის დაპატრონება გარდაუვალია, იმიტომ, რომ

ეს არის ერთსულოვანი გარდაწყვეტილება მთელი ქრის..

დე, იგრძნოს თვითეულმა ცალკე ერთეულმა, მებრძოლმა—პირმა თუ ჯგუფმა—თავის ერის ეს საერთო მორალური სიძლიერე, დაეყრდნოს მას: მებრძოლს და მომქმედს იგი გააძლიერებს, მოქანცულს ლონეს დაუბრუნებს, გაჭირვებულს გაათბობს და ანუგეშებს, და თუ ვინმე მომავალის გზას სწორად და გარკვევით ვერ ხედავს,—

ის დაანახვებს!

ჩვენი საკითხის ავტორი

ჩვენი პოლიტიკური მოუმხადებლობის, საერთო ჩამორჩენილობის, ცალმხრივი აღზრდის თუ სხვა გარემოების მიზეზით იყო—არ ვიცი, მაგრამ უკველია, რომ ჩვენს წარსულს მოღვაწეობას ახასიათებდა ილიუზიონიზმი—ცრუ შეფასება მდგომარეობის, მოსალოდნელ მოვლენების გაუთვალისწინებლობა, გადაჭარბება საკუთარი ძალების და დამცირება სხვა—თა წინაამდევობის—ყველაფრის გაიოლება. სამწუხაოდ ასეთი სულიერი მიდრეკილება დღემდის არა აღმოფხვრილი მთლად: დღემდის ადვილად მიგაქცევთ ყურს ზღაპრებისაკენ,

ყოველს დაბრულებას თუ დახმარებას ჩვენი მიზნის განხორციელების გზაზე ჩვენი სუბიექტური სურვილით შევმოსავთ, განკუნებულ თეორიებს ვებლაუჭებით და არ გვინდა დავდგეთ ნამდვილი ვითარების ნიადაგზე. ეს საერთო თვისებაა ყველასი ჩვენი და არა მხოლოდ ამა თუ იმ მიმართულების—სოციალისტები, არასოციალისტები, დემოკრატები და არადემოკრატები—ყველანი ცოდვილნი არიან; ზოგნი მეტად, ზოგნი ნაკლებად, ზოგნი ერთში, ზოგნი მეორეში.

მაგრამ ამდენს მწარე წელს და საშინელ უბედურებას, რასაც მოვესწარით, მაინც ტყვილად არ ჩაუვლია და ცოტა რამ მაინც ვისწავლეთ—გამოვფხიზლდით ცოტა, უფრო ფრთხილნი და დინჯნი გავხდით, სკეპტიკოსები—იჭვნეულობა ალაგმა ჩვენი გაშლილი ოცნება და დღეს უკეთ მთლად ისე ალარ ვიჯერებთ ყოველ ჭორს, როგორც გუშინ. ძლიერ იმოქმედა ჩვენს გონებაზე ევროპიულმა რეალისტობამ: აქ ხომ ათჯერ გაზომვა და ერთხელ გადაჭრა უყვართ, ფანტაზიებს არ მისდევენ და მიწაზე ფეხი მაგრად უდგიათ. აქ თითქოს სარკეში ჩავიხედეთ და საკუთარი თავი დავინახეთ, და სხვებიც უკეთ ვიცანით. ასე წარმოიდგინეთ—სამშობლოც უფრო გავიგეთ შორიდან, მწვავედ ვიგრძენით მასთან განუწყვეტელობა, მისი სახე უფრო ნათლად წარმოვიდგა და უკეთ გავიგეთ მისი ამბები, ჭირი, ტკივილები; უფრო მივხვდით, რაც არის.

ამიტომ ჯეროვანია და გვმართებს, რომ დღევანდელს მდგომარეობას, ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის პირობებს, ჩვენს ბრძოლას მივუდეთ მეტის შეგნებით და დაკვირვებით და სინამდვილე დავინახოთ რაც შეიძლება მეტის სისწორით. ნუ შეგვეშინდება, რომ ყველაფერს პირდაპირ შევხდოთ, რაც უნდა მწარე იყოს. მამულიშვილობა ხომ თავის მოტყვილება არაა და ბაქიობა—ამას ჩავკრავ, იმას ჩავკრავო. სანამ ვისმე ჩავკრავდეთ, კარგად უნდა მოვსინჯოთ—სად შეგვიძლია ჩავკრა და სად ჩვენ თვითონ ჩაგვკრავენ. ჩვენი სამშობლო პატარაა, ხოლო ჩვენი საკითხი პატარა არაა. იგი მეტად რთულია, გადახლართულია მრავალ სხვა საკითხთან. ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმე გადაება სხვა ერების განთავისუფლების საკითხს, ბოლშევიზმის ყოფნა-არყოფნას, რუსეთის მომავალ ბერს, სახელმწიფო ინიციატივების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მისწრაფებებს; ზოგის გზა ჩვენსას უერთდება, ზოგი წინ ელობება. ყველაფერს ამას ფხიზლად უნდა ჩავუკვირდეთ და კარგად მოვსინჯოთ ჩვენი ბრძოლის სუსტი და მაგარი მხარე. მდგომარეობის სწორი შეფასება გამარჯვების

პირველი იარაღია და რამდენად ჩვენ უკეთესი გაგება გვექნება ჩვენი საქმის ნამდვილი ვითარების, იმდენად გაგვიადვილდება მოქმედება და ბრძოლა, იმდენად ახლო ვიქებით მიზანთან.

* * *

ყოვლის უწინარეს, უნდა ნათლად დავინახოთ, რომ ჩვენი ეროვნული პრობლემა, ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის საკითხი დღეს მეტად დამძიმებულია და გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე იყო 1918 წელს, მაისამდე და თუ ვისმე ეს მტკიცედ არ შეუგნია, იგი ცუდად დაეხმარება ჩვენს საქმეს. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი შეიცავს ორ მომენტს—ა) ბოლშევიზმის დაცემა და ბ) ამ დაცემის შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაწევა. უკველია ეს ორი მომენტი ერთი მეორეში გადადის და მათი დაშორება შეუძლებელია. მაგრამ პრაქტიკული ინტერესი მოითხოვს მათ გარჩევასაც და ერთის და მეორის განსხვავებულ პირობების სრულს გათვალისწინებას.

როდესაც ვლაპარაკობთ ბოლშევიზმის დამხობაზე, საჭიროა ვიგულისხმოთ ბოლშევიზმის და ევროპეიზმის დაპირისპირება. ბოლშევიზმის გამარჯვება ნიშნავს ევროპიული შემეცნების, კულტურის, სოფლმხედველობის უარყოფას—ყველაფრის იმის უარყოფას, რასაც მოწინავე ერები ათას წელთა განმავლობაში მძიმე მუშაობით, მწარე ბრძოლით და უთვალისწილი მსხვერპლით ქმნიდენ და რაც შეიცავს კაცობრიობის საუკეთესო არსებას. ევროპიული ცხოვრება, აზროვნება, შეგრძნობა, რასაკვირველია, არაა სრული და უნაკლო. მაგრამ შედარებით ეს დღეს უკეთესია და რაც უფრო ძვირფასია, ის წარმოადგენს საფუძველს, რომელზედაც შესაძლებელია სხვა და სხვა უმჯობეს შესაძლებლობის წარმოშობა. ბოლშევიზმი ამის მოსპობას ლამობს და უნდა ქვეყნიერება რამდენიმე საუკუნით უკან გადააგდოს. კიდევ მეტი: უნდა შექმნას ისეთი წყობილება, სადაც მყვდარია ადამიანი, როგორც პიროვნება, როგორც უაღრესი ლირებულობის საზომი და მით ეკარგება ყოველი აზრი თვით ცხოვრებას. აქ სრულებით მნიშვნელობა არა აქვს საზოგადოებრივის თუ კერძოობითის მეურნეობის დაპირდაპირებას—ეს უბრალო ბოლშევიკური თვალთმაქ-ცობა და თამაშია, საქმე უფრო ღრმადა: ბოლშევიკური წესი ჰქონდა ყოველგვარ განვითარებას და უკარგავს ყოველ აზრს ამ განვითარებას. რის მაქნისია განვითარება, როდესაც აღარაა აღამიანი, რომელსაც ბოლშევიკებმა ახადეს ყოველი ლირსება?

ეს ძირითადი წინაამდევობა ევროპიულსა და ბოლშევიკურს კულტურას შორის დღითი დღე იზრდება და ფართოვდება. მართალია ეგოისტური, პირადი ინტერესების მოსაზრებით ზოგი სახელმწიფო და ბევრი მწარმოებელი ევროპაში დღეს არ ხედავს, თუ განგებ არ უნდა შეხედოს, ბოლშევიკურ საფრთხეს. მაგრამ ადრე იქნება თუ გვიან, ევროპიულ კაცობრიობის წინაშე მწვავედ დადგება გადასაჭრელად ბოლშევიზმის საკითხი, და რაც უფრო გვიან მოხდება ამის გადაჭრა, მით უფრო ძვირად დაუჯდება იგი კაცობრიობას.

ამ საზოგადო ურთიერთობას ართულებს სხვა დამატი გარემოებანი. დიდი ომის შემდეგ როგორც გამარჯვებული ისე დამარცხებული სახელმწიფოები განიცდიან მძიმე ეკონომიურ კრიზისს და საერთო მოუწყობლობას, დაულაგებლობას. ბოლშევიკები ასობით მილიონებს ხარჯავენ, რომ ეს კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავონ და არევდარევა შეიტანონ ყველგან. ასევე ურიცხვი ფული იხარჯება ბოლშევიკების მიერ ჩინეთსა, ინდოეთსა, აზის და აფრიკის სხვადასხვა კალანიებში ადგილობრივ მკვიდრთა ასამხედრებლად ევროპიელთა წინაამდევ. თავისთავად ცხადია, რომ სრულებით აზრად არა მაქს ევროპიელების ბატონობა დავიცა ახალშენებში. მხოლოდ აღვნიშნავ ბოლშევიკების მუშაობას როგორც ისეთს ფაქტს, რომელიც ხელს უწყობს მათ შებრძოლებას ევროპასთან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ მეზობელ სახელმწიფოსთან ბოლშევიკებს კერძო სადაც საქმეებიც აქვთ (პოლონეთი, რუმინია).

ამგვარად ევროპას (მასთან, ვფიქრობთ, ამერიკასაც) ბეგრი რამ აქვს საკონფლიქტო ბოლშევიზმთან, თუმცა გადაჭრით ვერავინ იტყვის, როდის და რა პირობებში გაიშლება ეს კონფლიქტი, როგორ განვითარდება, რა სახეს მიიღებს.

* * *

ბოლშევიკური წესწყობილების დასარღვევად მუშაობენ თვითონ ბოლშევიკები—ეკონომიური გასაჭირის ზრდა, გლეხების ამხედრება, არევდარევა, სხვადასხვა მიმართულების ბრძოლა თვითონ კომუნისტურ პარტიაში ჰქმნის ნიადაგს ბოლშევიზმის დავადმყოფებისათვის. ამგვარადვე ამავე საქმეს ემსახურებიან ყველა რუსული ანტიბოლშევიკური ორგანიზაციები უკიდურეს მემარჯვენეებიდან დაწყებული უკიდურეს მემარცხენეებამდის. აქ ჩვენ არასოდეს უნდა დავივი-

წყოთ საერთოდ რუსეთის თავისებურობა და ეკროპიული ცხოვრების პროცესების კანონით არ უნდა შევაფასოთ რუსეთის ცხოვრების მოვლენები. ჩამორჩენილი რუსეთი უფრო ადგილად იტანს სხვადასხვა კრიზისებს, ვიდრე ეს შეუძლია დაწინაურებულს ეკროპას. ამიტომ დორის და სიმწვავის საზომი აქ და იქ ერთი არაა. რუსეთში მეტისმეტად უნდა დამძიმდეს მდგომარეობა, რომ ასებულს ვითარებას შეებრძოლონ, აქტივობა დაიწყონ ანტიბოლშევიკებმა.

ბოლშევიკებთან მებრძოლ ძალებში თავის აქტივობით პირველი ადგილი უკავიათ არა რუსის ერებს. ამას—სხვა არა იყოს რა—ნათლად მოწმობს ამ. კავკასიის და ჩრდილო კავკასიის უკანასკნელი ამბები. ეს გასაგებიცაა. რუსის ერი ბოლშევიზმს არ განიცდის როგორც ეროვნულს ჩაგვრას. ბოლშევიზმი რუსეთისთვის ასეა თუ ისე მაინც რუსული, ეროვნული, მართველობაა—უცხო არაა, გარედან მოსული არაა. სულ სხვა მდგომარეობაა არარუსების: აქ პოლიტიკურს, ეკონომიკურ სოციალურს უდელს ამძიმებს ზედმეტად ეროვნული ჩაგვრა. განსაკუთრებით გრძნობენ ამას ის ერები, რომელთაც ხანგრძლივი საკუთარი ისტორიულ-კულტურული ცხოვრება ჰქონდათ და ბოლშევიკების თავდასხმამდე სრულს დამოუკიდებლობას სარგებლობდენ, ამ ერების საპროტესტო ხმა შეუწყვეტლივ გაისმის და ხშირად იარაღითაც გამოდიან მოძალადე ბოლშევიკების წინაამდევ.

სრულებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა ფარგლებში ძალით მოწყვდეული და დაახაგრული ერები ერთმანეთთან ნათესავობას გრძნობენ და ერთმანეთს ხელს უწოდებენ. ხდება მათი დაახლოვება, იკვრება კავშირი საერთო მტრის წინაამდევ. ეს აუცილებელია, ეს გასაგებია და ამის გარეშე გამარჯვებით ვერ დააგვირგვინებენ ეს ერები თავის განმათავისუფლებელ ბრძოლას. ეს არ უნდათ დაინახონ რუსის პოლიტიკურ მოღვაწეებს და ხანდახან ვაჭრობასაც კი მართავენ ზოგიერთს ერთან: შენ კი მოგცემთ თავისუფლებას, ხოლო დანარჩენი ერების საკითხს თავი გაანებეო. იმათ მეტად ამწარებს ის გარემოება მაგალითად რომ ქართველები აცხადებენ: დღე-განდელს რუსეთს უთუოდ უნდა გამოეყონ ყველა არარუსის ერი. ყველა ერი უნდა განთავისუფლდეს და რუსეთი უნდა დარჩეს მხოლოდ რუსების სახელმწიფოდ. ესაა სრული სიმართლე, ესაა ლოლიკური. თავისუფლება არავის პრივილეგია არაა, იგი უფლებაა ყველასი. სხვანაირი მსჯელობა შეუძლებელია და ვერც ერთი ერი თავისუფლებას ვერ მიიღებს, რო-

გორც რუსების ნაჩუქარს და ნაწყალობევს. დამონებული არა-რუსის ერები თავისუფლებას მოიპოვებენ თავიანთ მოქმედებით, ბრძოლით, ძალით, რომელიც შეუძლიათ შექმნან მხოლოდ ერთმანეთთან შეკავშირებით და ერთიმეორის დახმარებით.

ამ ერებში უდიდესი ადგილი უკუთვნის უკრაინას, როგორც თავის სივრცით და მცხოვრებთა რაოდენობით, ისე თავის მდგომარეობით. უკრაინას უკავია შავი ზღვის ნაპირების მეტი ნაწილი, იგი საფარის ერთის მხრით პოლონეთსა და რუმინეთს და მეორეს მხრით რუსეთს შორის. მისი ნიადაგი მეტად ნაყოფიერია და იძლევა ხორბლის დიდს მოსავალს, საკმაოდ განვითარებული მრეწველობა აქვს. უკრაინელთა რიცხვი ოცდაათ მილიონზე მეტია, მათი ეროვნული აღორძინება, ეროვნული თვითშეგნების გაშლა ყოვლად უდავოა—ამას ხომ ნათლად მოწმობს თვით უკრაინელ კომუნისტების მოქმედება, რომლებიც ფხიზლად დარაჯობენ თავის ეროვნებას. უკრაინის საკითხი მეტად მწვავეა რუსეთისათვის; მას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს—ზოგი სახელმწიფო ძლიერ დაინტერესებულია უკრაინის დამოუკიდებლობაში, ზოგი ებრძვის. ასეა თუ ისე, უკრაინის განთავისუფლება, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს და დლესაა თუ ხვალ განხორციელდება, ახალს მძლავრს პოლიტიკურ ფაქტორს შექმნის როგორც რუსეთის ისე შუა ევროპის საერთაშორისო ცხოვრებაში. უნდა ითქვას აქვე, რომ უკრაინელთა შორის ორი მიმართულებაა—ერთი პოლონეთთან შეთანხმების, მეორეს ეს საერთო ენა ჯერ ვერ გამოუნახავს...

თავისთვად იგულისხმება, თუ რამდენად საჭიროა მჟიდრო დაკავშირება დანარჩენ არარუს ერების უკრაინასთან და შეთანხმებულად მოქმედება. არა კმარა პლატონური მეგობრობის გამოცხადება...

* * *

მე არ შევჩერდები ბელორუსებზე, თურქესტანზე და სხვა ერებზე—ყველას დიდი ფასი აქვს ანტიბოლშევიკურ ბრძოლის ველზე. შევეხები მხოლოდ კავკასიის ერების საკითხს, რომელსაც ჩვენთვის ქართველებისთვის უახლობელესი და ორმაგი მნიშვნელობა აქვს. სომხები, ადერბეიჯანელები, მთიელები არამც თუ ჩვენი თანამებრძოლნი არიან ბოლშევიკების წინაამდეგ, ამავე დროს არიან ჩვენი პირდაპირი მეზობლები, რომლებთანაც დაგვჭირდება სახელმწიფოებრივი და-

კავშირება. კავკასიელებს რომ ბევრი რამ გვაქვს საერთო—ეს უცხველია. კავკასიის ერების კონფედერაცია—ამის ნაკარნა-ხევია. ეს შეკავშირება ჩვენ ყველას გაგვამაგრებს და გაგვა-ძლიერებს როგორც დღევანდველ ბრძოლაში ისე მომავალში თავდაცვისათვის. ეს საუკეთესოდ შეუწყობს ხელს ჩვენს ეკო-ნომიურ წარმატებას, კულტურულ განვითარებას.

ვფიქრობ, რომ კავკასიის ერების კონფედერატული კავ-შირი იმდენად საანბანო მცნებად გახდა ყველასათვის, რომ აღარავითარ გაუგებრობას არ იწვევს. კავკასიელი მოღვაწე-ები ხშირად ერთმანეთსაც კი ეჯიბრებიან, რომ კონფედერა-ციის მეტი ერთგულება დაამტკიცონ.

სოლო საჭიროა კავკასიის კონფედერაციის სუსტი მხა-რეებიც გავსინჯოთ. ზევით ვსთქვით, რომ ბევრი რამ გვაქვს საერთო კავკასიელებს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ განსხვა-ვებაც ისტორიულ-კულტურული, სარწმუნოებრივი. უნდა გვახსოვდეს სომხების განსაკუთრებული მდგომარეობა, რო-მელთაც დიდი ნაწილი თავის ტერიტორიისა დაკარგეს და დამხმარედ ძლიერს მოკავშირეს ეძებენ. ადერბეიჯანელებსაც ხშირად ხიბლავს მოძმე ლსმალეთთან დაახლოვება; მთიელთა შორის ტომობრივ სხვადასხვაობას დიდი აღგილი უკავია და ეს გააძნელებს მათ მორიგებას. ყველაფერი ეს იმას გვი-ჩვენებს, რომ შაცომა იქნება, კავკასია შვეიცარიას შევადა-როთ და ვითიქროთ, რომ ჩვენი შეკავშირება ისე ადვილად მოხდება, როგორც გერმანელების, ფრანგების და იტალიე-ლების მოხდა შვეიცარიაში.

ბოლო დროს ამ ვითარებას გაუმჯობესობა ეტყობა. ბოლშევიკების ბატონობამ ბევრი რამ ასწავლა კავკასიელებს და ფრიად დამახასიათებელია ადერბეიჯანელების და სომხე-ბის ძმური გამოსვლები უკანასკნელი აჯანყების დროს და ის, რომ ხშირად სომხები თათრების ხელმძღვანელობით იბრძო-დნენ და თათრები სომხების. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავკასიელთა შინაური უთანხმოება დაძლეული იქნება და ჩვენი მთლიანობა გამაგრდება არა მარტო მტერთან ბრძოლისთვის, არამედ სამოქალაქო მშვიდობიანი მუშაობი-სთვისაც.

მაგრამ არის მეტად სერიოზული საფრთხე, რომელიც შეიძლება გარედან დაემუქროს კავკასიელთა შეკავშირებას. აქ უპირველესად უნდა ვითიქროთ თვითონ რუსეთზე, რომე-ლიც ყველსავე ზომას იხმარს, რომ ხელი შეუშალოს ჩვენს კონფედერაციას, რადგან ცალცალკე ყველას ადვილად დაგვი-

მორჩილებს. კიდევ უარესია მოსალლდნელი ოსმალეთის მხრით; ბოლო ღრმს ბევრს ლაპარაკობენ ამ სახელმწიფოს პანთურქისტულ მისწრაფებებზე, რომ მას სწადია მთელი თურქის მოდგმის გაერთიანება. არ ვიცით, რამდენად საფუძვლიანია ეს ხმები, მაგრამ საფიქრებელია, რომ როცა რუსეთში დაიწყება ბოლშევიზმის დამხობა, ოსმალეთი დაიკავებს თავის ჯარით ამიერ-კავკასიას (ყოველ შემთხვევაში, მის დიდს ხაწილს) ან იმ მიზნით, რომ გამოიყენოს საფარად თავის ტერიტორიის დასაცავად, ან იმიტომ რომ მთლად დაეპატრონოს, თუ გარემოებამ ხელი შეუწყო და ძალა ეყო.

და თუ ასეთი შესაძლებლობა სინამდვილედ იქცა, ადვილად მისახვედრია, თუ რა კატასტროფულს გავლენას მოახდენს ეს კავკასიის კონფედერაციის იდეაზე და როგორ გააძნელებს კერძოთ ჩვენს, ქართველების, ბრძოლას ჩვენი დამოუკიდებლომის აღდგენისათვის. გვმართებს, ფხიზლად ჩავუკვირდეთ ამას და თავი გავანებოთ გაცვეთილ საილუსიო სიტყვებს!..

* * *

ანტიბოლშევიკურ ძალებს რომ ვითვალისწინებთ, ძნელი სათქმელია, რომელი ითამაშებს უმთავრეს როლს რუსეთის წყვიბილების დარღვევაში ან რომელი იქნება დამწყები. ევროპიულ აზროვნების წინაამდეგობას, ერთა შეკავშირებულს მოქმედებას, რუსის ანტიბოლშევიკებს, შინაურ კრიზისს, კომუნისტების ურთიერთს ბრძოლას დღეს შეიძლება ერთომეორესთან კავშირი არა აქვს. ხოლო დადგება დრო, როცა ყველანი ერთად მიესვიან საბჭოთა სამეფოს დასანგრევად და ამის საბოლოო ლიკვიდაცია მოხდება ყველას შემწეობით. უფრო მოსალოდნელია, რომ საგარეო გართულება გამოიწვევს აღსასრულის დაწყებას. მართალია, საბჭოთა გარეთ ომი არავის უნდა, მაგრამ ომი უნდათ ბოლშევიკებს—საყოველთაო არევდარევის გამოსწვევად და ომს თვითონ გამოიწვევენ, იმ იმედით, რომ შემოიჭრან ევროპაში და აქ თკტომბერი გაიმეორონ.

ბოლშევიკების დამარცხება ადვილი არაა. მაგრამ მეტი სიმძიმე და სიძნელე დაგვატყდება ამ დამარცხების მეორე დღეს, როცა დაიწყება ყოფილი საბჭოთა სამფლობელოს მომავალი ბედის გადაწყვეტა. მოხდება ძალების ახალი დარაზმვა, გადაჯგუფება, სამაქმედო სარბიელზე გაჩნდებიან სრულიად ახალი ძალები. ყოფილი მოკავშირენი შეიძლება ერთი-

მეორეს დაუპირდაპირდნენ. თუ პირველ მომენტში მიზანია ბოლშევიკების დაშხობა, მეორეში საზრუნვა საგანია აგრე წადებულ რუსეთის მთლიანად დაცვა თუ მისი დანაწილება ეროვნულ სახელმწიფო ორგანიზაცია.

მთლიანი რუსეთის დამცველად გამოვა, რასაკვირველია, მთელი რუსობა განურჩევლად მიმართულებისა. თუ 1917-18 წლები მათ მოულოდნელად დაატყდათ თავზე და მაშინ თითქოს შეუგნებლად, მოუმზადებლად შეხვდნენ ერების ჩამოშორებას, ეხლა სულ სხვაა. დღეს ისინი გამსჭვალულნი არიან უკი ღურესი შოგინიზმით და ხმაამოულებლად არ შეხვდებიან არა რუსთა განცალკევებას. ცხადია, თუ ამისთვის მოიცალეს, ამის საშუალება ექნათ და ერთმანეთში თანხმობა და არ გაუხანგრძლივდათ ბოლშევიკური ნაშთების ლიკვიდაცია.

გარეშე სახელმწიფო ორგანიზაციების დამკიდებულება ბოლშევიზმის ლიკვიდაციასთან იქნება სხვადასხვანაირი იმის მიხედვით, თუ ვინ რა ინტერესს დაინახავს «მთლიან რუსეთში» თუ მის ეროვნულ დანაწილებაში. მოსაზღვრე სახელმწიფო ორგანიზაცია, წინააღმდეგისან რუსეთის გამთლიანებას, რომელიც მათი თავისუფალი არსებობისთვის მუდამ საფრთხე იქნება. აქ ასპარეზზე გამოვლენ ის პატარა რესპუბლიკები, ბალტიის პირად რომ არიან და პირველ მომენტში რომ არავითარ აქტივობას არ გამოიჩენენ — რადგან ბოლშევიზმი მათთვის უფრო მისალებია, მისგან უფრო ადვილად მიაჩნიათ თავის დაცვა. ეს რესპუბლიკები მეორე მომენტში იძულებულნი იქნებიან ენერგიული მონაწილეობა მიიღონ «მთლიან რუსეთის» საწინაამდევო მოქმედებაში და ყოველ შემთხვევაში მხარი დაუჭირონ ყველას იმათ, ვინც შეებრძოლება რუსეთის გაძლიერებას.

ახლა დიდი სახელმწიფო ორგანიზაციი, პირდაპირ არ ეკვრიან ზედ რუსეთს: გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და სხ. გერმანიის პოლიტიკური სახეობა გაურკვეველია და მისი დამკიდულობაც რუსეთის მიმართ მერყევი იქნება. მაინც მეტი შანსი აქვს იმას, რომ გერმანია მხარს დაუჭირს «მთლიან რუსეთს». როგორც საფრანგეთის და პოლონეთის მოწინაამდევე, იგი რუსეთისკენა გადახრილი და «მთლიან რუსეთის» აღდგენისა და დაკავშირებისაგან დიდს სარგებლობას გამოელის. ეს განსაკუთრებით ითქმის მემარჯვენე გერმანიაზე და ამ დასკვნას ვერ შეარყევს ის გარემოება, რომ თითქოს (როგორც ეს ქარუმიძის პროცესში გამოირკვა) მემარჯვენე გერმანელი ჯგუფები მხარს უჭერდენ საქართველოს

აღდგენას: მათვის საქართველოს საკითხი მეტად გათქვეფი-
ლია რუსეთის საკითხში და პირველი მეორესთვის უბრალო
იარალის როლს თამაშობს.

სულ წინამდევი უნდა ითქვას საფრანგეთზე: სხვა რომ
არავითარი მოსაზრება არ მივიღოთ მხედველობაში, საფრან-
გეთი პოლონეთის ერთგული მეგობარი და მოკავშირეა და
უკანასკნელის ინტერესებს ვერ გასწირავს ძლიერი რუსეთისა-
თვის, რომელიც მისთვის ისეთი საიმედო არასოდეს იქნება.
ყოფილი რუსეთის გამთელება კი, თუნდაც ნაწილობრივად
პოლონეთისთვის მუდამ საშიშია. ამიტომ უნდა ვითიქროთ,
რომ საფრანგეთი მოსურნე იქნება რუსეთის დანაწილებისა
ეროვნულ სახელმწიფოებად.

ძველი, ტრადიციული შეხედულობაა, რომ ინგლისი
ყოველთვის რუსეთის მტერი იყო, როგორც თავის მოქიმებები
აზიაში. ამის დამამტკიცებელი წარსულში ბევრი საბუთია.
ერთის მხრით საფიქრებელია ამიტომ, რომ ინგლისის ინტე-
რესი დღესაც მოითხოვს რუსეთის დაუძლურებას და არა წი-
ნანდელის სახით აღდგენას. მაგრამ აქედან პირდაპირი მარ-
ტივი დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ. ინგლისელები მეტად
კომერციული ხალხია, მოქნილი პოლიტიკის მატარებელნი.
მათ შეუძლიათ საგანს სხვა მხრივ მოუჟარონ: სათანადო გა-
რანტიები მიიღონ რუსებისაგან, თან კარგი ქონიანი კომპენ-
საციები და სამაგიეროთ მხარი დაუჭირონ «მთლიანობის»
იდეას და თავი ნაკლებად შეიწუხონ როგორც კავკასიელე-
ბისთვის ისე სხვა დაჩაგრულ ერებისთვის. ინგლისელებს
პოლიტიკაში ყოვლის უწინარეს უყვართ სარგებლობა.

რაც შეეხება იტალიას, უნდა ვსთქვათ მხოლოდ ის, რომ
ძალზე მოწადინებულია გარედ ადგილები შეიძინოს, რადგან
საკუთარი ტერიტორია არ მყოფნისო. დღეს ის მეგობრობს
ბოლშევიკურ რუსეთს, მაგრამ ხვალ, როცა ბოლშევიზმის
ლიკვიდაციის საკითხი დადგება, ყველაზე მეტის აქტივობით
მიუდგება საქმეს და მოიცდომებს ისარგებლოს ეს ლიკვიდა-
ცია თავის მადის დასაკმაყოფილებლად.

ოსმალეთის პოზიციაზე უკვე იყო ნათქვამი: ოსმალეთის-
თვის თითქოს სასარგებლო უნდა იყოს, რომ მასა და რუსეთს
შორის დამოუკიდებელნი კავკასიელი ერები არსებობდენ. ეს
მისთვის საფარია, რომ რუსეთი კვლავ არ შეესიოს. ამას ვეუ-
ბნებოდით ჩვენ ასმალეთს ტრაპიზონში 1918 წელს. მაგრამ არ
მიიღო, უკუაგდო. მიიღებს დღეს? შეიძლება უმჯობესად ჩას-
თვალოს თავისთვის—თვითონ დაიკავოს ამიერკავკასია, თვი-

თონ მიებჯინოს კავკასიის ქედს და ეს მეტ საიმედოთ ჩასთვალოს თავის ინტერესებისთვის? ნუ ვიფიქრებთ, რომ რაც ჩენ გვინდა, სხვასაც ის უნდა. შეიძლება აგრეთვე ვინმე ღსმალეთის ეხლანდელ ეკონომიურ კრიზისზე მიგვითოთოს, რომელიც ვითომც აიძულებს მას «ხაზის» შეცვლას. მაგრამ ეს ვნახოთ ჯერ—რა ხაზი რა ხაზით შეიცვლება.

რა უნდა ითქვას ამერიკაზე? იგი აცხადებს, ევროპის საქმეები მე არ მეხებაო. შეიძლება რუსეთშიც არაფერი დაინახოს სათავისო. მაგრამ მისთვის არ იქნება უინტერესო ის, თუ ვინ რას მოიგებს «რუსეთის» დანაწილებისაგან. სახელდობრ თუ გავიხსენებთ იაპონიის და ამერიკის ქიმპობას. არ უნდა იყოს სადაცო, რომ იაპონია თავის მხრით მხარს დაუჭერს ეროვნულ სახელმწიფოებს და არა «მთლიანი რუსეთის» აღდგენას—ეს ხომ მისი პირდაპირი ინტერესია. თუმცა არ უარყოფთ, რომ შესაძლებელია სხვა კომბინაციებმა აქაციით იჩინოს თავი.

* * *

მეორე მომენტში უმთავრესი მნიშვნელობა მიეცემა დამონაბული ერების მოქმედებას: მათ გამოსვლებს, მათ ორგანიზაციულ დარაზმვას და სოლიდარობას. ერთნაირი ფასი არ ექნება მათვის იმას, თუ როგორ დაემხობა ბოლშევიზმი: შინაური კრიზისით, გადატრიალებით თუ უფრო საგარეო გართულებით? ყოველ შემთხვევაში ამ დროს ცენტრი განმათავისუფლებელ მუშაობისა გადავა მათ ხელში, მათ უნდა აჩვენონ თავის მოწინაამდევებს თავისი ძალა და გარდაუტეხელი ნებისყოფა თავისუფლების აღსაღენად. არა თუ უნდა დაიცვან თავი გარეშე მოძალადებისაგან, არამედ უნდა შესაძლონ სისწრაფით დაამყარონ თავის შინაურობაში წესიერი წყობილება და მით დაუმტკიცონ ყველას, რომ აქვთ სრული უნარი თავის თავის მოვლის.

რაც ითქმის ყველა ერის ამ დროის მოქმედებაზე, ის ითქმის ჩვენს საკუთარ მოქმედებაზედაც. ამიტომ მე უფრო ვრცლად შევჩერდები მხოლოდ ამ უკანასკნელზე. პირველი გარანტია გამარჯვებისა არის სისწრაფე—ვინც დაიგვიანებს, აუცილებლად წააგებს. გართულების და არევდარევის დროს უპირველესად უნდა გამოჩნდეს პატრონი—უნდა დაუყონებლივ შეიქნას გამგებელი ორგანო თავის მორჩილი ორგანიზაციებით ქალაქად თუ სოფლად, ყველგან; მისი მთავარი დანიშნულება იქნება წესიერების დაცვა და საბრძოლველ რაზ-

მების შექმნა, ეს უკანასკნელი თავში არეულ დარეული, არა რეგულიარული ხასიათის იქნება, მაგრამ რაც შეიძლება მეტის სიჩქარით უნდა მოხდეს გადასვლა რეგულიარულ ჯარზე. საჭიროა თავის დროზე, თავის ალაგას შემზადება ყველაფრის იმის, რაც საჭიროა არა მარტო ბრძოლის საწარმოებლად, საომარ მოქმედებისათვის, არამედ ხალხის გამოსაკვებადაც, მისი ეკონომიური უზრუნველყოფისათვის. ჩვენმა ხალხმა მრავალი მძიმე გაჭირვება გადაიტანა ბოლოს დროს. ცუდმა კვებამ, ცუდმა მოვლამ ის დააუძლეურა მეტად და რომ მან სათანადოთ შესძლოს იმ გარდამავალ ხანაში კვლავ ბრძოლა, ამიტომ არ უნდა იყოს მშიერი და შიშველი. მით უფრო, რომ ძნელი სათქმელია, ეს გარდამავალი ხანა რამდენხანს გარძელდება და როგორ გართულდება. თავს ნუ დავაიმედებთ ტკბილის ოცნებით, რომ ბოლშევკიუბის დამხობას თავისთვად, იღლად, უმტკიცნეულოდ მოყვება ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენა და განმტკიცება. არა. ამისთვის ჩვენი გრძელი, მძიმე და რთული ბრძოლა და მუშაობა დაგვჭირდება.

ჩვენს დღევანდელს მდგომარეობას ერთი დიდი, დიდი წარმატება აქვს—უძვირფასესი, როგორიც გვაკლდა 1918 წელს: ახლა ჩვენი ხალხის ეროვნული შეგნება მეტად გაიზარდა, მომწიფდა და გამაგრდა. ასე გამორჩეული ხახეობა არ გვქონდა მაშინ, არც ასეთი სიყვარული თავის ეროვნების, არც ასეთი რწმენა საკუთარი თავის და საკუთარი პატრიონობის. ეს ჩვენთვის დღეს უძლიერესი იარაღია და რაც უნდა დაბრკოლება და სივე გადაგველობოს წინ, დავძლევთ და ვინილავთ განთავისუფლებულს სამშობლოს ამდენი უბედურობისა და განსაცდელისაგან უფრო განწმენდილს, უფრო ხალს, უფრო მკიდრს.

ხოლო ერთი პირობა კი გარდაუვალია: ყველი სამჩადისი და მუშაობა ქართველი ერის განსათავისუფლებლად მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, თუ მთელი ქართველობა დაირაზმება ერთად, ერთსულოვანად. ყველა დაივიწყებს პარტიულს თუ სხვა განსხვავებას და იფიქრებს, რომ მარტო ძალთა შეერთებით შეიძლება დაძლევა იმ მრავალ დაბრკოლებათა, რომლებიც წინ გვიდგან...

მრთობისა და გთლიანობისათვის

ყოველი ცნობა, რომელიც საქართველოდან მოდის — ზეპირი თუ დაწერილი, ერთს რასმე ამბობს გადაჭრით: ქართველი ერის მთლიანობას, ერთობას. საშინელი მტრის წინაშე მთელი ქართველობა, როგორც ერთი ადამიანი, ისე დგას. ყოველგვარი სხვა განსხვავება პოლიტიკურ-პარტიული, სოციალური, კლასობრივი მიიჩრდილა — არა სჩანს. მხოლოდ ერთი გრძნობა და ერთი განცდა — გრძნობა დამონებისა უხეში ძალის მიერ, დევნა ყველაფრის ქართულის, ეროვნულის, თავისუფალის. მთელი ერი უპირისპირება მოსკოველ ოკუპანტებს და მათ დამქაშ ერთ მუჭა ქართველობას. ორი ბანაკია — ერთ მხარეზე ქართველი ერია დამონებული, მეორეზე დამმონებელი უცხო ძალა. მათ შორის არავითარი კავშირია, არავითარი ნდობა — მუდმივი ბრძოლაა, ჩუმი თუ აშკარა, აქტივური თუ პასივური. ამ მდგომარეობაში ქართველისთვის გაუგებარია ჯგუფური და პიროვნული მეობა — განა ყველას ერთი უბეჭურება არ ახსობს, ერთი სატკივარი არ აწუხებს, ერთი სიძულვილი არ აერთებს მტრის? ერთი სურვილი არ ასულდგმულებს ყველას — ბოლშევიზმის დამხობის და საქართველოს განთავისუფლების? მაშ რაა სადაც? ყველა ერთად მტრის წინააშევ, შეერთებულის ძალებით გათელილ უფლების აღსადგენად! ჩევნი ძალა ჩევნი ერთსულოვანებაა!..

ასე ფიქრობს ქართველი ერი, ასე გრძნობენ ისინი, ვინც უშუალოდ განიცდიან სხვისი ბატონობის სიმწარეს.

აქ რა ამბავია, ამ საფრანგეთში თუ სხვაგან უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველთა შორის? სრული წინააღმდეგობა, არევდარევა, შეუთანხმებოლობა, მიუკარებლობა, ერთმანეთში ბრძოლა და შულლი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორს არაპოლიტიკურ გამოცემას, დღეს უცხოეთში ექვსი თუ შვიდი პოლიტიკური ორგანო გამოდის, სხვადასხვა მიმართულების და ხაზის. ზოგიერთის შინაარსი თითქმის სხვების მხილება და დამცირებაა. არა თუ არსებობენ წინააღმდელი პოლიტიკური დაჯგუფებანი, არამედ წინააღმდები დაიყვნენ, გაჩნდენ ახალი ფრთები, დაიბაჭენ ახლები. უნდა მოველოდეთ ამ რღვევის გაგრძელებას.

პარტიები და ჯგუფები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს სრულიად დაშორებულნი არიან. ერთმანეთს არ ეკარებიან, არ იგუებენ და ხანდახან ისეთს გაბოროტებასაც კი აქვს ადგილი, რომ ერთი ჯგუფის წარმომადგენელს არ უნდა მეორე

ჯგუფის წარმომადგენელს შეხვდეს ერთ ჭერს ქვეშ თუხდაც სრულებით არაპოლიტიკური საქმისთვის. ჩაკვდა კულტურული და ურთიერთის ეკონომიკური დახმარების თანამშრომლობა. მრავალი მოხარდი ქართველი ახალგაზრდობა დედაენას ივიწყებს, მისთვის არავინ ზრუნავს. იყო შემთხვევები ერთი ჯგუფის დაბეჭდებისა მეორეს მიერ უცხოელებთან და შეუფერებელ საჩივრების გაგზავნისა. ხდება ასეთი მოვლენა, რომ ერთი რომელიმე ქართველი პოლიტიკური ორგანიზაცია უკავშირდება სხვა ერის ორგანიზაციას, რომ მით უფრო ძაგრათ შეებრძოლოს თავის თანამემამულება მოწინაამდეგე ჯგუფს.

ემიგრანტულ ჯგუფებს ხშირად, ძალიან ხშირად ავიწყდებათ მთავარი—ბრძოლა ბოლშევკიკებთან და მათი ვულის ყური შინაური ურთიერთობის გამწვავებისა და გალრმავებისკენა მიმართული. მთელი ძალა იხარჯება არა ნამდვილ საქმეზე. ან ჯგუფები ძალიან ბევრს დროს ანდომებენ თავის ჯგუფურ-პოლიტიკური ხაზის ქებას და განდიდებას. ისე ლაპარაკობენ, თითქოს მათ ხელში იყოს აბსოლუტურად უებარი საშუალება საქართველოს გაბედნიირებისა. ზოგი იქამდისაც კი მიდის, რომ მკითხველებს არწმუნებს—საქართველოს ისტორია ჩვენით იწყებაო და სანამ სხვა პოლიტიკური ჯგუფები არ მოისპობა, საშველი არ იქნებაო!

რასაკვირველია ასეთი ერთმანეთის დაბრმავებული მტრობა და ერთმანეთის ჭამიობა საქართველოს საქმეს არ ემსახურება—პირიქით დიდს ვნებას აყენებს: მეგობრებს და თანამგრძნობთ გულს უტესს ჩვენზე და მტრებს ამხნევებს, ძალას მატებს, რომ უფრო გაბედულად იმოქმედონ ჩვენს წინაამდეგ. სრულებით საეჭვო არაა, რომ რუსის სოც.-დემოკრატებმა მოხერხებულად ისარგებლეს ერთი ქართველი პარტიის შინაური განხეთქილება, ჯერ ერთს მხარეს შემოუტიეს, მერე მეორეს და თან მიაყოლეს საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფაც, მაშინ როდესაც წინად გადაჭრილნი დამცველნი იყვნენ ჩვენი სამართლიანი უფლებების. ასევე გამოიყენა კერძნესკიმ ქართველების უთანხმოება და გაცხარებით დაიწყო გამოლაშქრება ჩვენს წინაამდეგ. დანამდვილებით ვიცით, რომ ერთ ჩვენ კარგ მეგობარ სახელმწიფოს მოღვაწეებში დიდი უსიამოვნება გამოიწვია ქართველ ჯგუფებს შორის არსებულმა განხეთქილებამ და თითქმის ისე დაასკვნეს, რომ ჩვენ მაინცადამაინც თავგამოდებით არ ვიბრძვით ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის...

ამისთანა მაგალითის დასახელება კიდევ შეიძლებოდა,
ბევრი კიდევ მოსალოდნელია, მაგრამ ესეც კმარა გასაფრთხი-
ლებლად და ჩასაფიქრებლად.

რატომ მოხდა, რომ უცხოეთში ქართველები თანხმობით
ვიყავით თავში და დღეს ასე ავიშალენით? ალბად აქ დიდს
როლს თამაშობს ემიგრანტული ცხოვრების თავისებურობა: სამშობლოს მოწყვეტა დიდი ხნით, გაჭირვება, ვახანგრძლი-
ვება ჩვენი საკითხის გადაუჭრელობის. ჩვენ რომ საქართვე-
ლოში ვიყოთ, პირდაპირ განვიცდიდეთ მის ცხოვრებას, ვტრიალებდეთ ქართველთა წრეში, ფართოდ ვუზიარებდეთ
მოძმეებს ჩვენი გულის ნადებს, რომ გვაცხოველებდეს სამშო-
ბლოს ბუნება და უცხოეთში ყოფნით არ ვგრძნობდეთ ჩვენს
მარტოობას ეროვნულს, ახლანდელ ამბებს გასავალი არ ექნე-
ბოდა. მნიშვნელობა აქვს უთუოდ ჩვენს პოლიტიკურს გაუ-
წვრთნელობასაც, სექტანტობას, უდისციპლინობას.

ამ საერთო მიზენებისა გამოა, რომ ყველა ქართველ პო-
ლიტიკურ ჯგუფს აქვს ბრალი ახლანდელ დაშლასა და არევ-
დარევაში. ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები და პასუხისმგებლობაც
ერთნაირი არაა ამ მხრივ. მე არ ვკისრულობ მსაჯულობას და
თვითეულის დანაშაულის განსაზღვრას. ეს საქმეს არც უშვე-
ლის და ერთმანეთის გასამართლება ძალიან შორს წაგვიყვან-
და. მხოლოდ ერთი უნდა ვსოქვათ: რომ რამდენად რომელიმე
პოლიტიკური ჯგუფი პერძნობს მეტს ძალას და მეტს ფასს
აძლევს თავის მუშაობას, მით უფრო დიდია მისი პასუხისმგე-
ბლობაც და მეტი მოვალეობაც აწევს, რომ დღევანდელ გან-
ხეთქილებას ბოლო მოელოს. ფორმალისტიკას თავი გაანებოს
ყველამ და საქმეს მიუდგეს სრულის პირდაპირობით, გულა-
ხდილობით, სხვების პატივისცემით. ნაკლები მეობა, მეტი
ჩვენობა. ნაკლები კაოჩაკეტილობა, მეტი შეერთება გულ-
წრფელი, ერთმანეთისთვის დათმობა, შეერთება საერთო სა-
ქმისათვის და არა კერძო ჯგუფურ ინტერესებისთვის.

გვეყოფა წარსულის მწარე ამბები, როცა საქართველოს
პოლიტიკური პარტიები სრულიად ერთიმეორის დამოუკი-
დებლად მოქმედობდენ და ისიც კი არ იყო შესაძლებელი,
რომ მათ შორის ერთგვარი საიმფორმაციო ბიურო მოწყობი-
ლიყო. დღეს სხვა მდგომარეობაა, მეტად მძიმე და დაჭიმუ-
ლი, რომელიც შეიძლება კატასტროფული განხდეს ჩვენი
ქვეყნის ბედისათვის, დიდის ხნით, თუ ჩვენ მას არ მოუარეთ
დიდის სიფხიზლით და თავგამოდებით. ჩვენ დღეს ჩვენი ერის
უდიდესი ისტორიული ამოცანის წინაშე ვდგევართ—საქარ-

თველოს გამთელების წინაშე. ეს საკითხი რამდენიმე საუკუნეა დამდგარი და თუ დროზე არ მოხდა ეს გამთელება, მერმე და მერმე კიდევ უფრო გაძნელდება.

მე ოდნავადაც არ ვფიქრობ, გავაზვიადო ემიგრანტების მნიშვნელობა—საქართველოს საკითხი ემიგრანტული კინკლაობით არ ამოიწურება. მაგრამ შეცოობა იქნებოდა იმის უარყოფა, რომ ქართველთა ჯგუფურ დარაზმვას და ურთიერთის წინაამდევ ბრძოლას ვნება მოაქვს ჩვენი საქმის წარმატებისათვის უცხოეთში. ამის უტყუარი ფაქტები გვაქვს. ჩვენ პატივს გვცემენ და ანგარიშს გვიწევენ, როცა ყველა ჯგუფი და მიმართულება ერთად ვართ, შეკრულნი, შედუღებულნი, განუკვეთელნი, როცა ხედავენ, რომ ჩვენ იმდენად ძლიერ გვიყვარს ჩვენი ერის თავისუფლება, რომ ვერავითარი განსხვავება ვერ გაგვთიშავს განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

და საერთოდ განა მარტო ამ უცხოეთში გვჭირია ეს ერთობა? რითი დავუბრუნდებით ჩვენს ძმებს საქართველოში, რომლებიც იმდენის ხდობით და იმედით შემოგვყურებენ? საქართველოს აღდგენა ხომ ერთი დაკვრით არ მოხდება. და როცა დადგება დრო ძნელი ბრძოლისა თავის დაცვისათვის და მძიმე მუშაობისა ქონებრივ-კულტურულ აღმშენებლობისთვის, ნუ თუ ვისმე პგონია, რომ დღევანდელის ერთმანეთის სიძულვილითა და მიუკარებლობით გავაკეთებთ რასმე? სამოქალაქო ომით, ერთმანეთზე მისევით, დაქუცმაცებით? ნუ თუ წინდაწინ აქედან ნათლად არ უნდა ვხედავდეთ, რა საფრთხეს შექმნიდა ეს ერისთვის, როგორ შემოუტევდა ყოველი მხრით მტერი და დადგებოდა ჯერი მისი დაფლეთისა და დაგლეჯის.

ჩვენი ხსნა მხოლოდ ჩვენს მთლიანობასა და ერთობაშია. ეს არის *conditio sine qua non*. ეს საჭიროა აქ, საჭიროა იქ. აუცილებელია დღეს, აუცილებელია ხვალ—როგორც ბრძოლის დროს, ისე მშვიდობიანი აღმშენებლობის დროს (პირველ წლებში მაინც). უნდა პირდაპირ შევხდოთ ჩვენს მდგრადობას—იგი გართულებულია მეტად, დახლართულია, დამძიმებულია; მტერი, მოწინაამდევე, დაბრკოლება მრავალია, ჩვენ გვემუქრება დიდი ძალა და ქართველობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დავალწევთ თავს დღევანდელს კრიზისს, შევინარჩუნებთ ჩვენს ეროვნულს არსებობას და უზრუნველყოფთ მის მომავალს, თუ ყველა ჯგუფი, მიმართულება, კლასი შევაერთებთ, ერთმანეთს მივუმატებთ ჩვენს ლონეს, ჩვენს ჭკუას, ცოდნას, გამოცთილებას, თუ მაგრად ჩავიდებთ ერთიმეორეს ხელს, მჭიდროთ მივეკრებით ერთმანეთს. ჩვენ პატარა ერი



ვართ, ბევრი წინაამდევობა და საფრთხე გვიდგია წინ; სუსტი ვართ—ვართ ჩვეულებრივი ადამიანები, არა გენიოსები, მოკლებულნი ჯერ სახელმწიფო ბრძანების მოღვაწეობის გამოცდილებას, ყოველი ჯგუფი დარიბია მომხადებული პირებით, და თუ ასეთ ვითარებაში ვინმე არ ხედავს ერთობის და მთლიანობის საჭიროებას და გაიძახის: «მე ვარ და ჩემი ნაბადი გამოწენებელი დამისაო», ის უდიდეს დანაშაულს ჩადის თავის ერის წინაშე, მას არ ესმის თავისი მოქალაქობრივი პასუხისმგებლობა.

ჩვენი ერი ძლიერი სულის პატრონია, გამძლეა, ბევრის ამტანია. ბევრი ჭირი გამოუვლია და ბევრი მტერიც მოუნებელია. მაგრამ ყოველ გამძლეობას და სულიერ სიმტკიცეს საზღვარი აქვს! შეუძლებელს ვერავინ შესძლებს. დიდათ დატვირთულია ქართველი ხალხი განაწამებ საუკუნეთა სიმძიმით და ვაი თუ ამდენმა უბედურობამ ბოლოს შეარხიოს. «ბევრის ცემით რკინაც გატყდებაო...»

სერიოზულ მდგომარეობას სერიოზული მოპყრობა ჰმართებს.

ვიყოთ ფრთხილად!

ს. ფირცხლავა.

„ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში“

სოციალისტური ინტერნაციონალის ეგზეკუტივი გასული მაისის სხდომაზე შეეხო სხვათა შორის საბჭოებს და მაწოდებით მიმართა იქაურ მუშებს, თან გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეროვნული საკითხი საბჭოთა სამფლობელოში. უკანასკნელი დადგენილება უძველეს უკმაყოფილებას გამოიწვევს ყველაში. ვისთვის ამ ეროვნულ საკითხს არა მარტო იდეური, თეორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ დიდი პრაქტიკული ინტერესიც. მით უფრო, რომ დღეს სოციალისტური ინტერნაციონალი უაღრესი ლირებულების დაწესებულებაა საერთო შორისო ცხოვრებაში, მისი გავლენა თანდათან იზრდება მუშათა მაძრაობის მძლავრ განვითარებასთან ერთად, და ამიტომ მის ყოველ სიტყვას თუ მოქმედებას ყველა დიდს ყურადღებას აქცევს.

რასაკვირველია, ს. ინტერნაციონალი ერთა თვითგამო-

რკვევის ნიადაგზე დგას და ეს უდავოთ მიაჩინია საბჭოთა საზღვრებში მყოფ ერებისათვისაც და ამბობს, რომ «თვითეულ-მა ამ ერთაგანმა მხოლოდ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა უფრო უზრუნველყოფს მის ეროვნულ თავისუფლებას: და-მოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო თუ ფედერატული რესპუბლიკის ფარგალში დარჩენა». ეს სამართლიანი დადგენილება—სხვანაირი არც შეგვეძლო წარმოგვედგინა—გადაჭრილ პასუხს აძლევს იმ რუსის იმპერიალისტ—სოციალისტებს, რომლებიც დაუინებით უმტკიცებენ რუსეთის დამონებულ ერებს: ჩვენის ნების დაურთველად თავისუფლებას ვერ მიიღებთო.

მაგრამ ამას ეგზეკუტივი დასტენს: «ინტერნაციონალს უფლება აქვს მოსთხოვოს თავის სექციებს, რომ ბრძოლაში ეროვნულ მიზნებისათვის მათ არაფერი ჩაიდინონ ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მუშათა მოძრაობას, დემოკრატიის და ზავის საერთო ინტერესებს».

კეთილი და პატიოსანი: დიდ საქმეში დიდი მსხვერპლია საჭირო და რაკი ერთა სოლიდორობას ვემყარებით და ვცნობთ ინტერესების მჭიდრო კავშირს, ცხადია, არც ერთმა ერმა კერძოთ არ უნდა მოიქმედოს რამე სხვებისათვის სახიფათო და მავნებელი. ხოლო გვინდა ვიკითხოთ: ამ განაჩენის გამოტანის დროს ეგზეკუტივს ჰქონდა თუ არა ნათლად და სავსებით გათვალისწინებული სიდიდე იმ მსხვერპლისა, რომელსაც მოითხოვს ამ შემთხვევაში დაჩაგრულ ერებისაგან საბჭოთა კავშირში? ერთი ეს. მეორე: როგორ მოიქცენ და იქცევიან ასეთ ვითარებაში ევროპიელი ერები (კერძოთ ევროპიელი სოციალისტები), შეურიგდნენ თუ არა ისინი თავის დამონებას, თავისი განთავისუფლება შესწირეს საკაცობრიო ინტერესებს და არ გადადგეს ნაბიჯი, რომელიც სახიფათო იყო მშვიდობიანობისთვის? დღეს რომ ვინმე გარეშე გაბატონდეს რომელსამე ევროპიელ ერზე, ეს უკანასკნელი ასევე «მშვიდობიანობის და დემოკრატიის» ზომით მიუდგებოდა თავის განთავისუფლების საქმეს?

არა. და გაუგებარია: რატომ შოითხოვს ეგზეკუტივი მეტს «სიწმინდეს», მეტს დემოკრატიაბას, მეტს მშვიდობის მოყვარეობას რუსეთის ჩაგრულ ერებისაგან? რატომ ასე მორიდებით უნდა იფიქრონ ამათმა თავის აღამიანურ ცხოვრების პირობებზე? ნუ თუ მათი კისერი სქელია და გაუძლებენ მონობას? მათი გონება მთლად არ მომწიფებულა ჯერ თავისუფლებისთვის?..

ჩავყვეთ ქვევით. ეგზეკუტივი განაგრძობს: «საბჭოთა კავშირის საზღვრებში მომქმედ ყველა მისი სექციების (სოც. პარტიების) საერთო სურვილია შეთანხმებულად გამოვიდნენ, რათა ერთი მხრით უზრუნველ ჰყონ ხსენებულ კავშირში პოლიტიკურ დაწესებულებების გარდაქმნა სრული დემოკრატიის დამყარებით და მეორე მხრით ხელი შეუშალონ თეთრ კონტრევოლუციონურ რეჟიმის დამყარებას». ამრიგად ეგზეკუტივი პირველ რიგში აყენებს ბოლშევიკური წყობილების დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნას და ერების განთავისუფლებას სამერმისო საკითხად ჰქონის. საბჭოთა დამორჩილებულმა ერებმა ყოველთვის და ყოველგან მსხვერპლი უნდა გამოილონ და უნდა ითმინონ აუტანელი მდგომარეობა, ვიდრე რუსეთში დემოკრატია არ გაიმარჯვებს. მაგრამ ვაი თუ ამ დემოკრატიამაც ალმაცერად შეხედოს ერების განთავისუფლებას? განა დღესვე არ გვაფრთხილებენ რუსის დემოკრატიის წარმომადგენელნი—დამოუკიდებლობას ნუ ეპოტინებითო? მაშინ?..

საყურადღებოა, რომ ეგზეკუტივი ძალიან ბუნდოვანს და გაურკვეველს შინაარსს აძლევს ბოლშევიზმის «გარდაქმნას» დემოკრატიად. რა პირობებში უნდა მოხდეს ეს, რა საშუალებით? შეიძლება ამის განმარტება შემდეგმა სიტყვებმა მოგვცეს: «არარუს ერთა წარმომადგენელი სოციალისტური პარტიები თავის ნაციონალურ მიზნის განხორციელების იმედს ამყარებენ არა ეკონომიურ დეზორგანიზაციაზე და მით უმეტეს არა სამოქალაქო ომშე ან კონტრევოლუციურ თუ უცხოძალებთან შეკავშირებაზე, არამედ პირიქით იმ დემოკრატიულ წყობილების წინსვლაზე, რომლის განხორციელებას ისინი ცოლობენ».

აქედან აშკარავდება უკეთ, რაც ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ერების განთავისუფლება რუსეთის დემოკრატიულ წყობილებისაგან უნდა წარმოიშვას. ესთქვათ, რომ ეს სწორედ ასეცაა. დავვეთანხმოთ ერთ წუთს ეგზეკუტივს. მაშასადამე რაკი ერების ხსნა დემოკრატიაშია, ერებმა მთელი თავისი ძალა და ღონე უნდა მოანდომონ ამ დემოკრატიის მოვლინებას. უნდა იმოქმედონ, უნდა იბრძოლონ. მაგრამ ეგზეკუტივის დადგენილებით ეს მოქმედება და ბრძოლა სრულიად აკრძალულია: ბოლშევიზმის წინაამდევ არ შეიძლება მიმართოთ ძალას, ბრძოლას (ეს სამოქალაქო ომია), არ შეიძლება ხელი შეუწყოთ ბოლშევიკების ქონებრივ არევდარევას და კრიზისს, არ შეიძლება შეერთდნენ დაჩაგრული ერის ყველა ცოცხალი ძა-

ლები. ყველა პარტიები ბოლშევიკური უდღის გადასაგდებად, რადგან ასეთი შეერთება კონტრევოლუციას ნიშნავს, არც ის შეიძლება, რომ ვარედან ვინმე დაქმაროს რუსეთის გაშირვებულთ, დამშეულთ, გატიტვლებულთ, წამებულთ, ჩეკებსა და კატორდებში ჩამხმალთ. მაშ აბა რა გზით, რა ლონით უნდა მოხდეს ბოლშევიზმის «გარდაქმნა? თუ ბოლშევიკებს-ეკონომიკურად არა გაუჭირდათ რა, თუ არავინ შეებრძოლა. არავინ გაუწია წინაამდევნება, როგორ უნდა მოხდეს მათი შეცვლა? ლოცვით, სასწაულით? სული წმინდის გრძასვლით, რომელიც ჩაგრძებს ბოლშევიკებს, რომ დროა გადადგნებ, თავი გაანებონ ბატონზეს?

გაუგებარია, გაუგებარია!

ევროპიული სოციალიზმი უფრო და უფრო უარყოფს თავის მოქმედებაში ძალის ხმარებას და საკმარისად მიაჩნია იბრძოლოს თავის მიზნის მისაღწევად მშვიდობიანის გზით, დემოკრატიული წყობილების მეთოდებით. ხოლო არც ერთი ევროპიული სოციალისტი არ ამბობს, რომ არ მიმართავს ძალას, ამბოხებას, რევოლუციონურ აქტს, თუ მოწინაამდეგე მოინდომებს ფიზიკური ძალის ხმარებას მის დასამორჩილებლად. უნდა ვითიქროთ, რომ ეგზეკუტივი არ იტყვის: ბოლშევიზმი მორალური და გონიერივი სამუალებით ებრძვის მხოლოდ თავის მტრებს. ყველასათვის ჭეშმარიტებაა, რომ ისტორიას არ ახსოვს ბოლშევიზმთანა მეორე მაგალითი, რომელიც ასე უსაზღვროდ მიმართავს თავის ბატონობისათვის იარალს, ფიზიკურს იძულებას, უხეშს ძალას, რომელმაც უარყო ადამიანობის ელემენტარული უფლებანი. და აი ეგზეკუტივი ურჩევს ბოლშევიკების მსხვერპლებს—მშვიდობიანად, ხელის გაუნდრევლად, შეუბრძოლებლად ითმინონ და ითშინონ...

სოციალის. ინტერნაციონალის ეგზეკუტივმა მშვენიერი სადლეისა დონის უნგრებული გადმოისროლა საბჭოთა ფარგალში მომწყვდეულ არარუსის ერებისათვის. ეს ძირდფასია მაგრამ ამ ლოზუნგის პრაქტიკულ განხორციელებას ისეთი პირობები შეუქნა, რომ ბოლოსდაბოლოს არ ვიცით, რაღა დარჩა.

ასეთი ორჭოფული მდგრადებელდება, ვიდრე სოციალისტურ ინტერნაციონალში არ გაქრება ბოლშევიზანების მეფობა, რომელთაც დღემდის ვერ გადაუჭრიათ: ბოლშევიზმი დადებითი მოვლენაა თუ დამდუპველი. ვიმედოვნებთ, რომ ამას ბოლო მოელება.

ს. ლე უნიძე.



სოციალისტ. ინტერნაციონალის

კონგრესი ბრიუსელში

(28-VIII. 5-11)

1. უნდა დავიწყო გარეგნული მხარეთი. საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენდა ის თავაზიანი ყურადღება, მეგობრული მხრუნველობა და გაშლილი სტუმართმოყვარეობა, რომლითაც ბელგიელმა სოციალისტება და კერძოთ ბრიუსელებმა მიიღეს კონგრესის წევრები. ასეთი კარგი გამასპინძლება რასაკვირველია თავის თავად აღსანიშნავია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მასპინძლური პატივისცემა შეზავებული, შეკაზმული იყო. თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ბელგიელ მუშათა მოძრაობის საუკეთესო მოღვაწეობის დემონსტრაციით—თქვენ ეცნობოდით ნაჩვენების ნიმუშებით და სანახაობით, თუ რა მკვიდრია და რა მტკიცე საფუძველზეა აგებული სოციალისტური მუშაობა ბელგიაში, კერძოთ ჩვენ ქართველები თვალსაჩინო ვხედავთით ევროპიულ სოციალიზმის პრაქტიკულ სახეობას. და ეს ყველაფერი ჰქმნიდა ხალისიან, იმედიანს სულიერს განწყობილებას საზოგადოთ.

კონგრესის სხდომებისათვის დანიშნული იყო აგრე წოდებული «სახალხო სახლი», რომელიც ეკუთვნის ბრიუსელის მუშათა კოოპერატივს და რომელიც შეიცავს რამდენსამე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებას. აგრეთვე სათეატრო და სადღესასწაულო დარბაზებს. კონგრესის საერთო სხდომებს დათმობილი ჰქონდა მთავარი ზალა, ხოლო კომისიები მუშაობდენ სხვა განყოფილებებში. მოწყობილი იყო იქვე ცალკე ოთახები წიგნთ-სავაჭრო, სამკითხველო, ფოსტა-ტელეგრაფი. სასლის ქვედა სართულში მოთავსებულია ფართო კაფე-რესტორანი, სადაც იატად იძლეოდნენ სასმელ-საჭმელს. ქალაქის დასათვალიერებლად და მიმღევლისათვის ყველა დელეგატს დარიგებული ჰქონდა პლანი და აღწერილობანი.

ბელგიელების პატივისცემა და ყურადღება გამოიხატა განსაკუთრებულად პირველი დილის სხდომის შემდეგ გამართულ მანიფესტაციაში. მთელი ორი საათის განმავლობაში საგანგებოთ მოედანზე მიპატივებულ დელეგატების წინაშე იშლებოდა დიდებული პროცესია ბელგიელ მუშების პროცესიონალურ, კოოპერატიულ, სასპორტო, საკურორტო ორ-

განიზაციებისა. იშვიათი სანახავი იყო ოთხი ათასი დროშა (თითეულის გარშემო ათი-ათასობითაა შემოკრებილი წევრი) მხატვრულათ მორთული, ცალცალკე დარგების ემბლემებით. იყვნენ სტუმრებიც ჩეხიის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის მუშათა წარმომადგენელნი. პროცესიას ორ მხარეზედ წინ მიუძღვდენ ცხენოსნები—ერთს ეკავა დროშა წარწერით: ადგილი ღარიბებს! მეორეს წარწერით: ადგილი მუშა ხალხს! პროცესია დაამთავრა ათიათასი მუშათა მილიციამ, რომელიც თითქოს ეუბნებოდა ბურუუზის წარმომადგენლებს: ხელი არ ახლოთ ჩვენს ორგანიზაციებს, თორებ ჩვენ თავს დავიცავთო...»

მეორე დღეს საღამოს ბრიუსელის პარტიულმა, პროფესიონალურმა, კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა და განეთ Peuple-ის რედაქტიამ გაუმართეს კონგრესის წევრებს და სხვა სტუმრებს მდიდარი ბანკეტი, რომელზედაც წარმომადგენლები სიტყვები ეხებოდნენ მსოფლიო პოლიტიკის მწვავე საკითხებს.

მეოთხე დღეს იმ დელეგატებს, რომლებიც დაკავებულნი არ იყვნენ კომისიების მუშაობით, მასპინძლებმა საშუალება მისცეს ძველი ქალაქის გენტის და კურორტის ოსტენდეს დათვალიერებისა, სადაც ისინი მიიღო კოოპერატივების წარმომადგენლობამ უხვის სტუმართმოყვარეობით და სხვათა შორის გემით გაასეირნეს ზღვაში. აქ მათ გარშემო შემოკრბა მთელი ფლოტი მუშათა კოოპერატივის მეთევზეთა ნავების.

მეტუთე დღის ნასაღილევს დელეგატები უფასო ავტომობილებში შემოატარეს ქალაქში და უჩვენეს ბრიუსელის საუკეთესო ადგილები. ამას მოყვა მუშათა უმაღლეს სასწავლებლის (უნივერსიტეტის) დათვალიერება და მიტინგი მწვანე ველზე—გაშლილ სუფრების გარშემო, რომლის დროს დიასახლისობდენ ბელგიელი მუშა ქალები.

დაბოლოს კონგრესის დასრულების მეორე დღეს დელეგატები საგანგებო მატარებლით მიწვეულნი იყვენ ლიექში, სადაც გაიმართა იქაურ მუშურ კოოპერატივთა კავშირის ძლიერი მანიფესტაცია ასი ათას მუშის მონაწილეობით.

ქალაუნებურათ გრძნობდა კაცი, რომ ბელგიაში სოციალისტური პარტია მასიური ორგანიზაციაა. იქ სოციალიზმი მარტო წიგნიდან ამოღებული სიტყვები არ არის. სოციალიზმი, გარდა საზოგადო მორალური მნიშვნელობისა, წმინდა იარაღია, პრაქტიკული საშუალება ინტერესის დასაცავად. სოციალიზმი შედუღებულია ეროვნებასთან, და ეს უკანას-

კნელიც ცარიელი ხმა როდია, იგი სისხლსა და ხორცშია, კულტურაა, სიმდიდრე, განვითარება ერის...

2. საჭიროა აქ ზოგიერთი სტატისტიკური ცნობის მოტანა, რომ კიდევ უფრო ნათელი იქნეს ბელგიის სოციალისტურ მოძრაობის სიმძლავრე. ბელგიაში, სადაც რვა მილიონამდე მცხოვრებია, სოციალისტურ პარტიაში ირიცხება 600 ათასამდე წევრი და მის პროფესიონალურ კავშირებში 500 ათასზე ცოტა მეტი; აქვთ 8 ყოველდღიური გაზეთი (რომელთაგან ბრიუსელის Peuple-ს მეტად დიდი ტირაჟი აქვს), 29 ყოველკვირეული, 7 ორკვირეული და 29 თვიური გამოცემა. პარტიის ხელშია მრავალი კოლერატივი, საკულტურო, საფინანსო, სასპორტო დაწესებულება და ქონებრივად ფრიად ღონიერია. ბელგიის მეზობელ პოლანდიაში (7 ნახ. მილიონი მცხოვრებით) პარტიას ყავს 35 ათასი წევრი და მის სიხდიკატებშია 210 ათასი წევრი; პარტიულ პრესას შეადგენს 2 ყოველდღიური, 5 ყოველკვირეული და 1 თვიური ორგანო. შევადაროთ შვეციასაც (6 მილიონზე ცოტა მეტი მცხ.), სადაც ინტენსიური მუშათა მოძრაობაა: აქ პარტიული წევრია 20.000 და პროფესიონალურ კავშირებშია 492 ათასი წევრი. პრესა: 18 ყოველდღიური გაზეთი და 12 სხვა გამოცემა. შევადაროთ კიდევ ჩვენს საფრანგეთს: პარტიული წევრია 99 ათასი; სინდიკატებში (რომელიც პარტიაში არიან) 600.000 წევრი, ხოლო მოკომუნისტები და კომუნისტურ სინდიკატებში 300 ათასი წევრი; პრესა: 5 ყოველდღიური და 45 ყოველკვირეული ორგანო, რომლებიც ძლიერ დაფავენ სულს.

რაკი სოციალისტური პარტიების შემადგენლობაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, თვალი გადავავლოთ საერთო მდგომარეობას. სულ სოციალისტურ ინტერნაციონალში შემავალ პარტიების რიცხვია 6.637.000. სოციალისტურ-მუშაურ მოძრაობის განვითარების პირველ რიგებში დგანან: ინგლისი, გერმანია, ავსტრია, ბელგია, პოლანდია, დანია, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია. ინტერნაციონალის პარტიების კანდიდატებს არჩევნების დროს ხმა მისცა 25 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა. სოციალისტი დეპუტატები შეადგენნ საერთო რიცხვის თითქმის მეტულებს. სოციალისტების ხელშია 354 ყოველდღიური გაზეთი.

კონგრესზე გამოცხადებულია 700 დელეგატი. აშკარად სჩანს სიმრავლე ინგლისელების და გერმანელების—მათ ხომ ყველაზე მეტი ხმა აქვთ კონგრესზე. ინგლისელი წარმომადგენლები გარდა მცირე გამონაკლისისა ვერ ახდენენ კარგ შთა-

ბეჭდილებას. ყველაფერს ვიწრო პრაქტიკული თვალსაზრისით უცქერიან და წინ ყოველთვის საკუთარ ინტერესებს აყენებენ. გერმანელებსაც უმთავრესად თავისი სახელმწიფო-ბრივი საქმეები იპყრობს—ბანკეტზედაც რენანის განთავისუფლებაზე ლაპარაკობენ. ავსტრიელები ამათთან არიან და უკანასკნელთა ლიდერი ბაჟერი თუმცა ისე თავგამოდებით ბით არ იცავდა ბოლშევიკებს, მაგრამ მაინც მათი მეგობარი რჩება. ფრანგები ინიციატივას არ იჩენენ. ბელგიელები, როგორც მასპინძლები საყოველთაო მორიგების და მშვიდობიანობის დამცველებად გამოდიან. რუსის ესდეკები ბევრს ხმაურობენ. სხვა ერები, პატარა ერები არ სჩანან თითქმის—მათი არა ისმის რა, მათ თავმჯდომარეობას არავინ სთავაზობს, ბანკეტებზედაც არაფერს ამბობენ. რატომ ხდება ეს? მარსელის კონგრესზე უფრო გაბეჭულათ იყვნენ პატარა ერების წარმომადგენლები და აღმფოთდნენ, როცა ინგლისელები და გერმანელები მხოლოდ თავის ნებაზე სწყვეტდნენ. საკითხებს. თუ ვინმე მათგანმა ილაპარაკა ბრიუსელში, მეტად მკრთალად, მორიდებით, თითქოს შეწყალებას ითხოვდაო... რაღაც შეცოდებისთვის. რასაკვირველია ეს არ იქნებოდა, რომ დიდი ერების დელეგატები უფრო ძმურად ეკიდებოდნენ მცირე ერების წარმომადგენლებს, უფრო ახლო მიიღებდნენ მათ საჭიროებას და მოთხოვნილებას.

3: გადავიდეთ კონგრესის მუშაობაზე. პროგრამა შეიცავდა შემდეგს საკითხებს: პოლიტიკური მდგომარეობა და მუშათა კლასის ბრძოლა, განიარაღება, კოლონიების საკითხი, ეკონომიური ვითარება დიდი ომის შემდეგ და ეკონომიური პოლიტიკა მუშათა კლასის, საორგანიზაციო საკითხები. ამ სიიდან ხედავთ უკვე, რომ დღეს სოციალისტურ პარტიებს არ იზიდავთ ვიწრო ღოქტრინიორული საგნები, არამედ ისინი იხილავენ და მსჯელობენ საზოგადო სახელმწიფო-ბრივ და საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებზე. ამ საკითხებს ისინი მიუღებოდნენ როგორც პრაქტიკოსები და რეალისტები, რომლებიც უკვე აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს მმართველობაში ან ემზადებიან, რომ ხვალ ჩაუდგენ სათვეში ერის ცხოვრებას. ამიტომაა, რომ დღეს სოციალისტ. კონგრესებზე ნაკლებად გაისმის მყვირალა და ლამაზი განცხადებანი. კამათობენ იმაზე, რასაც დღევანდელ პირობებთან აქვს პირდაპირი დამოკიდებულება და რის გადაწყვეტა დაუყოვნებლივ ხელს შეუშეობს მუშათა ცხოვრების და საერთო მდგომარეობის გაუმჯობესობას...



მე არ შეგჩერდები კონგრესის იმ სამუშაოზე, რომლის მიზანი იყო მოწესრიგება ევროპის ერების საურთიერთო საკითხების, დასახვა გეგმისა ევროპიელ სოციალისტების პრაქტიკულ მოღვაწეობისათვის. ჩვენ ვერ შევაფასებთ კონგრესის ნამუშევარს ვერც მარტო წმინდა სოციალისტურის და ვერც წმინდა დასავლეთ ევროპის საჭიროების მიხედვით. ჩვენი ცხოვრების მთავარი საგანი დღეს არის ეროვნული განთავისუფლება. უამთავისუფლებოთ ჩვენ არა ვართ რა და მაშასადამე არც რამე არსებობს ჩვენთვის.

ჩაუკვირდეთ ამიტომ, როგორ შეეხო კონგრესი ეროვნულ საკითხს საერთოდ და რა გვიპასუხა კერძოთ ჩვენ ქართველ სოციალისტებს, ქართველ ხალხს?

4. არა საჭირო იმის გახსენება. რომ სოციალისტური ინტერნაციონალი ყოველთვის იყო ერთა განთავისუფლების მოსარჩევე, მაგრამ წინეთ ამას უფრო პრინციპიალური, თეორიული ხასიათი ჰქონდა. მხოლოდ ბოლო დროს დგება ინტერნაციონალი კონკრეტულ ნიადაგზე. ეს აშკარად სჩანდა პამბურების და მარსელის კონგრესებზე. უკანასკნელზე, სხვათა შორის, გარდა ზოგადი მოთხოვნისა დაჩატვრულ ერების განთავისუფლებისა მოთხოვნილ იყო ხელუხლებლობა ყოფილ რუსეთის იმპერიისაგან გამოყოფილ ახალ სახელმწიფოების და აგრეთვე სუვერენობა საქართველოს, სომხეთის, უკრაინის და სხვათა.

ამ მხრივ ერთი ნაბიჯი იქნა კიდევ გადადგმული ბრიუსელის კონგრესზე, რომელზედაც ევროპიელმა სოციალისტებმა გამოიტანეს რეზოლუცია იმ კოლონიების განთავისუფლების (სრულის თუ ნაწილობრივის), რომელიც მშიდროთ არიან გადამულნი მათ სახელმწიფოების ინტერესებთან. კონგრესის კოლონიალური რეზოლუცია სამ კათეგორიად ყოფს ევროპის კოლონიების მკვიდროთ: ერთი როგორც ინდუსტრი დღესვე მომწიფებულნი არიან დამოუკიდებელ არსებობისათვის, მეორეთ უნდა მიეცეთ ახლავე ავტონომია, რომელიც იქნება გარდამავალი საშუალება სრულ განთავისუფლებისათვის, და მესამეთ — ჯერ კიდევ გველურებს თუ ნაერებად ველურებს კიდევ სჭირიათ ევროპიელების პატრიანობა. რეზოლუციაში დასახელებულია სხვა ზომებიც ახალშენების მკვიდრთა დასაცავად. მაგრამ ჩვენ ამას არ გამ უდგებით. საკმარისია ჩვენთვის საერთო ხაზი, რომელიც თუმცა მთლად არა სწყვეტს ახალშენების საკითხს, მაგრამ რომელიც მაინც დაწინაურება. ისიც-კია, რომ რეზოლუციას კოლონიების

შესახებ პირდაპირი დამოკიდებულება არცა აქვს ჩვენს საკითხთან. ჩვენი საკითხი დაკავშირებულია ბოლშევიზმის საკითხთან, რომელიც უკუკველიათ მსოფლიო მაშტაბისაა და მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც და საერთოდ, თუ როგორ შეეხო ბრიუსელის კონგრესი ამ საგანს—გაუსწრო მარსელს თუ უკან დაიხია?

დამახასიათებელია შემდეგი გარემოება იმ მერყევობისა და გაუბედაობის გასაშუქებლათ, რომელსაც იჩენს სოციალისტური ინტერნაციონალი ბოლშევიზმის მიმართ. ბრიუსელის კონგრესის პროგრამაში უნდა შეტანილიყო (თუ არა ვყდები, ფრანგების მოთხოვნით) ცალკე საკითხი, დაახლოვებით ამ სათაურით: «დემოკრატიის ბრძოლა ბოლშევიზმის და ფაშიზმის წინააღმდეგ». ხოლო უკანასკნელ დროს ეს მოხსნილი იქნა, რადგან ამას წინააღმდეგ გერმანელი სოციალისტები იმის შემდეგ, რაც მთავრობის სათავეში ჩადგნენ—მათ უხერხულად მიიჩნიეს სახელმწიფო მოსახრებით ბოლშევიზმის გალიზიანება: ისე ვილაპარაკოთ ბოლშევიკებზე, მაგრამ ცალკე საკითხად ნუ იქნებაო. ჰო, და ლაპარაკი იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ. თქვეს ვანდერველდემ (ბოლშევიკები აუდლურებენ მუშათა მოძრაობასო), აბრამოვიჩმა (ბოლშევიზმი და ფაშიზმი—ორი უდიდესი საფრთხეა მუშათა კლასისთვისო), ბაუერმა (დასტოვა მარსელის მოკრძალება და ბოლშევიკების მოქმედებას მუშათა შორის განხეთქილების შესატანად უწოდა დანაშაულის სახელი), ტურატიმ იშვიათის მჭერმეტყველობით დაასურათა ფაშიზმი, ფაშიზმს და ბოლშევიზმს ერთი საფუძველი აქვთ—მონობაო, და ვიდრე ეს მონობა არ მოსპობილა, ზედმეტია ლაპარაკი სოციალისტურ აღმშენებლობაზე. ტურატიმ დაპატიმ «შინაურ საქმეებში არ ჩარევის პოლიტიკა», რომელიც მისი აზრით არის ყალბი და ცრუფრაზა, ვინაიდან რის მაქნისია ნაციათა ლიგა ან სოციალისტური ინტერნაციონალი, თუ ერთი ერის საქმეები არ ეხება მეორეს?

ილაპარაკეს სხვებმაც, შეიძლება გაცილებით მეტიც ითქვა ბოლშევიკების წინააღმდეგ, ვიდრე მარსელში. ხოლო ყველაფერი ეს იყო ნათქვამი მეტ წილად, სხვათა შორის, გაკვრით, და როცა რეზოლუციის გამოტანაზე მიდგა საქმე—ეს რეზოლუცია გამოვიდა ბოლშევიკების შესახებ მოკვეცილი და მარსელისაზე უფრო შერბილებული. გარდა საზოგადო გაურკვევლობისა აქ მთავარი როლი ითამაშეს ინგლისელმა დელეგატებმა. განსაკუთრებით დამოუკიდებელ მუშათა პარ-

ტიის წევრებმა. ერთმა მათგანმა განაცხადა: ინგლისელებს არ გვაინტერესებს არც ფაშიზმი, არც ბოლშევიზმი, ჩვენ გვინდა ნორმალური კომერციული ურთიერთობა ვიქონიოთ რუსეთთანა. მეორემ ბოლშევიზმის სრული გაუგებრობა იმით და-ამტკიცა, რომ რწმენა გამოსთვა: მომავალ ჩვენს კონგრესს რუსის მუშებიც დაესწრებიანო. როცა კომისიაში მჩადდებოდა რეზოლუცია (პოლიტიკური მანიფესტი), სადაც დაგმობილია ფაშიზმი და ბოლშევიზმი, ინგლისელები მოითხოვდენ, რომ სრულებით არაფერი ყოფილიყო ბოლშევიკების წინაამდეგ, და თუ ამას ვერ მიაღწიეს, ის მაინც მოახერხეს, რომ პირვანდელი ისედაც რბილი პროექტი რეზოლუციისა კიდევ უფრო იქნა შერბილებული ბოლშევიკების შესახებ. დამოუკიდებელ პარტიის წევრებმა ხმა არ მისცეს ამასაც და საერთო კრებაზე პოლიტიკური მანიფესტის კენჭის ყრის დროს თავი შეიკავეს.

5. მანიფესტში ნახსენებია საქართველო, მაგრამ არა არსებითად, მისი უფლებების აღდგენის მოთხოვნით. აი სიტყვა სიტყვით ეს ადგილი: «რევოლუციის მეთერთმეტე წელზე ეკონომიკური კრიზისების შეუწყვეტლობა გვიჩვენებს, რომ ტერორისტული უმცირესობის დიქტატურის რეჟიმი პიროვნეული იყო ადგილობრივი მასაც და საერთო კრებას, ხელს უშლის რუსის მუშებს დაიცვან თავიანთი ინტერესები და ძალით დამორჩილებული ყავს ერები, რომელთაც სხაგრავს, როგორც ეს აღიარებული იყო ამას წინად გამოქვეყნებულ დოკუმენტებში საქართველოს შესახებ—თვით საბჭოების მიერ».

ეს თითქმის სრულებით არაფერია, მაგრამ ამის შედგენაც ადვილად არ მოხდა. პოლიტიკურმა კომისიამ პირველი სხდომის შემდეგ აირჩია მცირე კომისია. მანიფესტის პროექტის მოსამზადებლათ: თავმჯდომარე ვანდერველდე, წევრები: ბაუერი (ავსტ.), ტრეველიანი (ინგლისი), ორიოლი (ფრ.) და დანი (რუს, ს.-დემ.). საქართველოს მოხსენიება მანიფესტში შეიტანა (როგორც გავიგეთ მერმე) ვანდერველდემ, მას მხარი დაუჭირა ორიოლმა, ბაუერი წინააღმდეგი იყო, ტრეველიანმა თქვა: თავი დავანებოთ საქართველოს, მაინც არაფერი გამოდის და ტყვილად ვალიზიანებოთ ბოლშევიკებს. საკითხი გადაჭრა დანმა, რომელიც მიემხრო თავმჯდომარეს (მერე დანს ეთქვა: არ მინდოდა ჩემის ხმით მოხსნილიყო საქართველოს საკითხი). ვანდერველდეს მაშინ ეკითხა ბაუერისა და ტრეველიანისათვის—რაკი ერთსულოვნება არ

არის, თუ გნებავთ, საქართველოს შესახებ კამათი გამართოთ კომისიაში. მაგრამ მათ უპასუხეს: არა, ჩავი უმრავლესობაში მიიღო. ჩვენ წინაამდეგობას არ ვაცხადებთ. მეორე დღეს ინგლისელმა მაინც კიდევ მოაგონა ვანდერველდეს საქართველოშე—მოეხსნათ, მოვაბეზრდათ. ვანდერველდეს ეთქვა: ახლა შეუძლებელია, მე ქართველებს უკვე ვაცხობე მცირე კომისიის გადაწყვეტილებაო...

თვითონ პოლიტიკურ კომისიაში საქართველოშე არაფერი თქმულა, თუმცა აქ შეიძლებოდა თავისუფლად ლაპარაკი და ქართველ დელეგატებს პქონდათ საშუალება გალაშქრებულიყვნენ ბოლშევიკების პოლიტიკის. წინაამდეგ და დაეცვათ საქართველოს საკითხი... პოლიტიკურ ტუსალების კომისიაში ქართველმა წევრმა გააკეთა ვრცელი მასსენება იმ დევნის. წამების და გადასახლების შესახებ, რომელიც დღესაც გრძელდება საქართველოში. მოსსენება ყურადღებით და ინტერესით მოისმინეს. მაგრამ როცა დებრუკერი გამოვიდა კონგრესის საერთო კრებაზე და აღნიშნა ცხარე სიტყვებით, თუ რა აუტანელ გაჭირვებას განიცდიან პოლიტიკური ტყვეები საბჭოთა რესეტის ოეუმის ქვეშ, მან სანიმუშოთ დაასახელა ტფილისის და ქუთაისის მაგალითებიც. მაგრამ ერთხელაც არ წამოცდენია «ქართველი», არც «საქართველო», და თვითონ ვანდერველდემაც კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე თავის იშვიათის გრძნობით და სიძლიერით წარმოთქმულ სიტყვაში, როცა მოიგონა გარდასრული მებრძოლი, დაასახელა კ. ჩხეიძეც, როგორც პირველი თავმჯდომარე «მუშათა საბჭოსი» და არა როგორც ქართველი, ქართველი პოლიტ. და სოციალისტური მოღვაწე, საქართველოს დამფუძნებელი თავმჯდომარე.

6. რა არის ამის მიზეზი? ზოგი გარემოება, რომელმაც ეს გამოიწვია, ჩვენზე არაა დამოკიდებული, ზოგიც ჩვენი ბრალია. ინტერნაციონალი ყოვლის უწინარეს არის კავშირი ევროპის სახელმწიფოების და იგი გამოხატავს ევროპიულ სულისკვეთებას და მისწრაფებას. ევროპიელებს, ევროპიელ სოციალისტებს უპირველესად აინტერესებით ის საკითხები, რომელთა გადაჭრა ეხება მათ პირდაპირ მუშაობას. მათ აწუხებთ მშეიდობიანობის დამყარება, დემოკრატიის განმტკიცება, სოციალისტური გზის გაკაფევა ამ შუაგულ ევროპაში. სხვა საქმეები იმდენათ არიან საინტერესონი, რამდენად მათ ახლობელ მიზნებს უკავშირდებიან. მერე თვითეულ ევროპის სახელმწიფოს და ერს საკუთარი სატკიცრები აქვს. ამ კითხვებზეა

მიპყრობილი ევროპიდან სოციალისტების მთავარი ყურადღება, აქეთკენაა მომართული მათი პრაქტიკული საქმიანობა. სხვების, გარეშეების, შორეულების შესახებ ისინი კმაყოფილდებიან დეკლარატიულის, პრინციპიალურის განცხადებებით, შეიძლება ისინი მართალნიც იყვნენ ამ შემთხვევაში, რადგან მეტად დატვირთულნი არიან საკუთარი და ეპროპიული საზოგადო საგნებით და არ ძალუდო სხვებსაც გაწვდნენ.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ევროპაში ბევრს სოციალისტურ მოღვაწეს სრულიად არა აქვს წარმოდგენა ბოლშევიზმის სინამდვილეზე, თუ რა საფრთხეს უმჩადებს ის მთელ სოციალიზმს და საერთოდ ევროპიულ ცივილიზაციას. არიან ისეთებიც, რომლებსაც უხდათ გამოიყენონ ბოლშევიკები საფრთხოებელასავით ბურჟუაზიულ რეაქციის წინაამდევ, ან როგორც იარაღი დიპლომატიურ-პოლიტიკური თავის სახელმწიფოს გასამაგრებლათ საერთაშორისო სასტარზე.

ამ საზოგადო ობიექტურ პირობებს ვერ შევხვდით ჯეროვანად ჩვენ ქართველი სოციალისტები. საქმის ასეთ ვითარებას ჩვენ ჯერ კიდევ მარსელში გავეცანით და საჭირო იყო იმ თავითვე შევდგომოდით მუშაობას. უნდა გვემუშავნა იმ სოციალისტურ წრეებში, რომლებიც ჩაბმულნი არ არიან ვიწროდ შემოხაზულ რამდენიმე ევროპიულ დიდ სახელმწიფოს ფარგალში, განსაკუთრებით ინტენსიური პროპაგანდა უნდა გაგვეწია პატარა ერებში, რომ კონგრესზე ერთის შემუშავებულის გეგმით გამოვსულვიყავით. რასაკვირველია, ეს ჩვენი მუშაობა არ იქნებოდა მიმართული ვისიმე სამტროდ ან ინტერნაციონალის სავნებლად. არა, ჩვენ მეგობრულად უნდა მიგვექცია იმ ამხანაგების ყურადღება, რომლებიც მხოლოდ თავის ახლობელ ინტერესებზე ფიქრობენ, რომ აუცილებელია ევროპის ცენტრის გარეშე გახედვა, რომ ბოლშევიზმი არ ემუქრება მხოლოდ საქართველოს, სომხეთს თუ ლიმიტროფებს. რომ ინტერნაციონალი უნდა იყოს ჭეშმარიტი საერთაშორისო კავშირი, სადაც პატარა ერებს მოეპყრობიან ისევე პატივით, როგორც დიდებს, რომ საჭიროა მეტი აქტივობა (და არა დეკლარაციები). იმ მინობის მოსასპობად, რომელზედაც მშვენიერად მიუთითა ტორატიმი და რომლის არსებობა შეუძლებელს ხდის რაიმე წესიერების, მშვიდობიანობის დამყარებას, თვითონ შუაგულ ევროპაშიც.

Нынешний газетный журнал «Газета С.-е.-О.» — это не просто информационный ресурс, это исторический памятник, отражающий важнейшие события в истории Казахстана и мира. Важно отметить, что журнал был основан в 1992 году, то есть в год провозглашения независимости Казахстана. С тех пор он стал одним из самых популярных и авторитетных периодических изданий в стране. Журнал имеет широкую читательскую аудиторию, включая политиков, бизнесменов, учёных, студентов и простых граждан. Важно отметить, что журнал имеет высокий уровень профессиональности и объективности в освещении политической жизни страны. Журнал «Газета С.-е.-О.» — это не только информационный ресурс, но и важный инструмент для распространения знаний и идеи о демократии, правах человека и социальном развитии Казахстана.

7. Монументальная книга «Книга о Казахстане» — это уникальный источник информации о истории, культуре, природе и современности Казахстана. Книга была написана известным казахским писателем и историком Абдусаломом Абдусаломовым. Книга содержит множество ценных исторических фактов, интересных сведений о казахской культуре и обычаях, а также о природных богатствах Казахстана. Книга имеет высокое художественное качество и является настоящим произведением искусства. Книга «Книга о Казахстане» — это не просто книга, это символ национальной гордости и гордости за свою страну. Книга является обязательным чтением для каждого казахстанца и является ценным источником информации для всех, кто интересуется историей и культурой Казахстана.

8. Монументальная книга «Книга о Казахстане» — это уникальный источник информации о истории, культуре, природе и современности Казахстана. Книга была написана известным казахским писателем и историком Абдусаломом Абдусаломовым. Книга содержит множество ценных исторических фактов, интересных сведений о казахской культуре и обычаях, а также о природных богатствах Казахстана. Книга имеет высокое художественное качество и является настоящим произведением искусства. Книга «Книга о Казахстане» — это не просто книга, это символ национальной гордости и гордости за свою страну. Книга является обязательным чтением для каждого казахстанца и является ценным источником информации для всех, кто интересуется историей и культурой Казахстана.